საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

15. 11. 2012 წ ქ. ბათუმი

ბრძანება №01-08/69

რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე („თერაპიული სტომატოლოგია“, „ორთოპედიული სტომატოლოგია“) მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2012 წლის 7 აგვისტოს 02/47242 წერილის, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 17 ივლისის №94 დადგენილების, დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამების „ორთოპედიული სტომატოლოგია“, „თერაპიული სტომატოლოგია“ დამტკიცების შესახებ ბსუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 2 თებერვლის №14 დადგენილების, ბსუ-ს სტომატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელის ვ. ჩანტლაძის 2012 წლის 09 ნოემბრის №3822 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მიღების მიზნით სარეზიდენტო და დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამებზე (სპეციალობა: „თერაპიული სტომატოლოგია“, “ორთოპედიული სტომატოლოგია”) გამოცხადდეს მისაღები კონკურსი.

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2012 წლის 15 ნოემბრიდან 29 ნოემბრის ჩათვლით, 10სთ–დან 17სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა.

3. დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის სპეციალობაზე მისაღებ პირთა დადგენილი ოდენობის (კვოტის) ფარგლებში („თერაპიული სტომატოლოგია“ - კვოტა 13; “ორთოპედიული სტომატოლოგია” კვოტა - 8). თუკი, სარეზიდენტო პროგრამის მაძიებელთა ოდენობა აღემატება კვოტით დადგენილ ოდენობას:
   ა) უპირატესობა მიენიჭოს რეზიდენტურის ალტერნატიული პროგრამის მაძიებლებს; ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება. თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;
   ბ)დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლების ექიმთა გადამზადების პროგრამებზე კონკურსის შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

4. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემულ იქნეს კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52).

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**